

ხელშეკრულება № 2-2017
(ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ.თბილისი

20 დეკემბერი 2016 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ – შ.პ.ს. “ქართული პროგრამული სისტემები”, (შემდგომში მიმწოდებელი), მომხმარებლებთან ურთიერთობის განყოფილების დირექტორის, ცირა პაქსაშვილის სახით, და მეორეს მხრივ - სსიპ “სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს”, (შემდგომში შემსყიდველი), უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლოზ დიდიძის სახით, ერთად წოდებული როგორც „მხარეები“ ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველი უფლებამოსილია დაუკვეთოს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს პროგრამის “SuperFin 6” ერთმომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროგრამის მიწოდება პროგრამის და “SuperFin 6” ქსელური სამომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროგრამის მიწოდება (CPV 48443000 ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული პაკეტი) , რომელთა გამოყენების საფუძველზეც შემსყიდველს ექნება შესაძლებლობა:

- დააინსტალიროს პროგრამა „SuperFin 6“ საკუთარ კომპიუტერებზე.
- ინტერეტის გამოყენებით მიმწოდებლის სერვერიდან, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, სისტემატიურად განაახლოს შესაბამისი პროგრამა „SuperFin 6“.

2. შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება, გადახდის ვადები და პირობები

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1713,00 (ათასშვიდაცამეტი) ლარს. ყველა გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

2.2 “SuperFin 6” ერთმომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროგრამის ღირებულება შეადგენს 468 (ოთხასსამოცდარვა) ლარს, ხოლო ქსელური სამომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროგრამის ღირებულება შეადგენს 1188 (ათასასოთხმოდარვა) ლარს და მათზე მომსახურების ვადა განისაზღვრება 01/01/2018 თარიღამდე. აღნიშნული თანხა შეიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

2.3 მომსახურების მოქმედების ვადის 1 თვით გასაგრძელებლად გადასახადის ღირებულება პროგრამულ პროდუქტზე “SuperFin 6” ქსელური სამომხმარებლიანი ვერსიისათვის განისაზღვრება 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) ლარით, ხოლო “SuperFin 6” ერთმომხმარებლიანი ვერსიისათვის განისაზღვრება 39 (ოცდაცხრამეტი) ლარით. თანხა შეიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

2.4 პროგრამის ერთ მომხმარებელზე განმეორებითი საინსტალაციო მომსახურების ღირებულება შეადგენს 19 (ცხრამეტი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით ყველა მოსაკრებლისა და გადასახადების ჩათვლით. თანხა აღნიშნული მომსახურებისათვის განისაზღვროს 57.00 (ორმოცდაჩვიდმეტი) ლარით. აღნიშნული მომსახურება შეიძლება გამოყენებულ იქნეს საჭიროების შემთხვევაში.

2.5 შემდგომ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველთვიურად მომსახურების მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის საჭირო ღირებულებას დამატებული უკვე გაწეული დამატებითი მომსახურების ღირებულება ნალდი ან უნალდო ანგარიშსწორებით.

3. პროგრამული პროდუქტის მიღება – ჩაბარების წესი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია 2017 წლის 01 იანვრიდან მოახდინოს პროგრამის აქტივაცია შემსყიდველის შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 9 აპრილის ქუჩა №2.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი სამუშაო დღის მანძილზე დაარეგისტროს შემსყიდველი თავის სერვერზე, ამავე სერვერზე (ონლაინ რეჟიმში) არსებული ყველა საჭირო დოკუმენტით სარგებლობისათვის.

შემსყიდველი



მიმწოდებელი



